



სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის -
უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის
მონიტორინგის ანგარიში



საქართველოს
სახალხო დამცველი

2018

სარჩევი

შესავალი	2
მეთოდოლოგია.....	3
1. სკოლის სტატუსი და მართვა.....	3
1.1. პერსონალი	5
1.2. მანდატურის სამსახური	6
2. ინკლუზიური სწავლება	9
2.1. მოსწავლის პირადი საქმის წარმოება.....	10
2.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.....	12
3. ძალადობისგან დაცვა.....	14
3.1. ძალადობაზე რეაგირების ერთიანი სისტემის ნაკლებობა	15
3.2. პრევენციული და სარეაბილიტაციო სერვისების არარსებობა	16
4. მოსწავლეთა ინფორმირებულობა ბავშვთა უფლებების შესახებ და დაცვის მექანიზმები	19
5. პირადი ცხოვრების უფლებაში დისკრიმინაციული ჩარევა	20
6. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მობილობის ორიენტაცია	22
7. რთული ქცევის მართვა.....	24
8. კვება	26
9. მისაწვდომობა და უსაფრთხოება.....	28

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლაში (უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონში) ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშს. მონიტორინგი განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატისთვის მინიჭებული ორი მნიშვნელოვანი მანდატის – პრევენციის ეროვნული მექანიზმის¹ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის² ფარგლებში.

მონიტორინგის მიზნით 2018 წლის 18 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის წარმომადგენლები,³ ხოლო 31 მაისს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები⁴ სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლას ეწვივნენ და ადგილზე შეამოწმეს შშმ მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხარისხი, მისი შესაბამისობა საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა რიგი დარღვევები, როგორც ინსტიტუციური მოწყობის, ასევე ხარვეზიანი რეგულაციების და მავნე პრაქტიკის არსებობის კუთხით. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლაში უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა უფლებები სათანადოდ არ რეალიზდება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პანსიონური მომსახურებით მოსარგებლე ბავშვთა ცხოვრების პირობები, სადაც მისაწვდომობა, უსაფრთხოება, კვება და სამედიცინო მომსახურება ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად; ამასთან, ისინი ძალადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მომეტებული რისკის ქვეშ იმყოფებიან. სახელმწიფო არ ასრულებს საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით დადგენილ ვალდებულებებს. შიდა საკანონმდებლო რეგულაციები საჭიროებს დახვეწას, ამავდროულად, მნიშვნელოვანი გამოწვევაა მათ აღსრულებაზე ზედამხედველობის გაძლიერება.

¹ პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meganizmi/prevenciis-erovnuli-meganizmis-shesaxeb>>.

² „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის შესახებ ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<http://www.ombudsman.ge/ge/specializirebuli-centrebi/shshm-pirebis-uflebata-dacvis-departamenti/shshm-pirta-uflebebis-konvenciis-monitoringis-meganizmi>>.

³ ირინე ობოლაძე, რუსუდან კოხოძე, ნინო ვალიკოვი.

⁴ ვიზიტში მონაწილე სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ანა არგანაშვილი, გივი ჯვარშიეშვილი, ნანა იდამე, ეკატერინე დარსანია, მაია არჩვაძე, ირინე ობოლაძე, რუსუდან კოხოძე, ნინო ვალიკოვი, ლევან ბეგიაშვილი, თამთა ბაბუნაშვილი

მეთოდოლოგია

მონიტორინგი მოიცავდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მასალის შეგროვებას. ვიზიტის დროს სკოლის ადმინისტრაციისგან გამოთხოვილ იქნა და გაანალიზდა დაწესებულების მართვის ამსახველი დოკუმენტაცია, მოსწავლეთა პირადი საქმეები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ინტერვიუები ჩაატარეს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებთან. ამასთან, შეაფასეს სკოლის ფიზიკური გარემო და პანსიონის ბენეფიციართა საცხოვრებელი ნაწილი. ვიზიტის დროს აკვირდებოდნენ მომსახურების მიწოდების პროცესს.

გასაუბრებისთვის გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. თვისებრივი ინტერვიუ ჩატარდა წინასწარ შედგენილი კითხვარის მეშვეობით. სკოლის მოსწავლეთა ინტერვიუება ხდებოდა ინფორმირებული თანხმობით, ინდივიდუალურად, ძირითადად განცალკევებით და მშვიდ გარემოში, ინტერვიუს ნებისმიერ ეტაპზე შეწყვეტის უფლებით და კონფიდენციალობის დაცვის გარანტირებით.

ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციისა დაზუსტების მიზნით კორესპონდენციები⁵ გაიგზავნა საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში და სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლაში. ამასთან, შედგა შეხვედრა სამინისტროსა და სკოლის წარმომადგენლებთან.

1. სკოლის სტატუსი და მართვა

სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა წარმოადგენს საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს,⁶ რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით ან/და საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე.⁷

ამასთან, N202 საჯარო სკოლა პანსიონურ მომსახურებას აწვდის სენსორული (მხედველობის) დარღვევის მქონე ბავშვებს, რაც მოსწავლეთა საცხოვრებელი პირობებით, მკურნალობით და

⁵ წერილი N 09-3/11945, 17.09.2018; წერილი N 09-3/8536, 26.06.2018; წერილი N 09-3/11028, 21.08.2018.

⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/61480>> [ბოლოს ნანახია 19.06.2018].

⁷ საჯარო სკოლის წესდების მუხლი 1.

კვებით ⁸ უზრუნველყოფას გულისხმობს და მონიტორინგის მომენტში სასწავლო-საადმინისტრაციო სპეციალიზებულ დაწესებულებად მიიჩნეოდა.

მონიტორინგის მომენტში N202 საჯარო სკოლის მიერ პანსიონური მომსახურება ხორციელდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1231 ბრძანებით დამტკიცებული „განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, რომლის მიზანია სკოლა-პანსიონის მომსახურებით მოსარგებლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, უზრუნველყოფილ იქნან: ხარისხიანი კვებით, საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით, ტანსაცმლით და პირველადი საჭიროების მედიკამენტებით, ასევე, საადმინისტრაციო მომსახურებით, რათა სსსმ მოსწავლეებმა პანსიონში ყოფნის პერიოდში განივითარონ აკადემიური, ფუნქციური, სოციალური უნარები.⁹

მინისტრის ამავე ბრძანებით ¹⁰ განსაზღვრულია სკოლა-პანსიონის მიერ პროგრამის განხორციელების ზოგადი სტრატეგია. ამასთან, სკოლას გააჩნია შინაგანაწესი, რომლის წესები ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. თუმცა, კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული სკოლა-პანსიონის მიერ სპეციალიზებული სადღეღამისო მომსახურებისა და სპეციალური სწავლების განხორციელების სტანდარტი, რაც სისტემატიზებულად და დეტალურად დაარეგულირებდა მისაწვდომობის, უსაფრთხოების, კონფიდენციალობის დაცვის, სოციალური ინკლუზიის, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის, ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, კვების საკითხებს და შექმნიდა მათ განხორციელებაზე ზედამხედველობის ეფექტურ ბერკეტს.

2017-2018 სასწავლო წელს სკოლა-პანსიონში ირიცხებოდა 45 მოსწავლე. მათ შორის, 16 იღებდა პანსიონურ მომსახურებას. სკოლის ადმინისტრაციის ¹¹ ცნობით საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია სულ 72 მოსწავლის მიღება, თუმცა, არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, პანსიონის მომსახურებით მოსარგებლე მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა ვერ მოხერხდება.

სკოლაში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის წესის¹² საფუძველზე.

⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება, მუხლი 23. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/61480>> [ბოლოს ნანახია 19.06.2018]

⁹ იქვე, მუხლი 3.

¹⁰ იქვე, მუხლი 4.

¹¹ თბილისის 202-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ხვედელიძე.

¹² ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3543464>, ბოლოს ნანახია [24.06.2018]

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შემდგომ პერიოდში - 2018 წლის 29 ივნისს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ ზოგადი განათლების სისტემაში ე.წ. „რესურს სკოლის“ ცნება შემოიტანა. კანონის თანახმად,¹³ რესურს სკოლა არის სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქვევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სკოლა, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, აგრეთვე სათანადო პროგრამებით/სერვისებით უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს.

ანგარიშის მომზადების პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლის ირგვლივ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მიღებული პასუხის¹⁴ მიხედვით, მოცემულ ეტაპზე საერთაშორისო ორგანიზაციის - „გადავარჩინოთ ბავშვები“ ფინანსური მხარდაჭერით, სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა რესურსსკოლების მოდელის შემუშავებასთან დაკავშირებით, ასევე სამინისტრო ამუშავებს რესურსსკოლების საადმინისტრაციო ნაწილის სტანდარტებს.

საქართველოს სახალხო დამცველი გააგრძელებს აღნიშნულ პროცესზე დაკვირვებას.

1.1. პერსონალი

მონიტორინგის დროს დაწესებულებაში დასაქმებული იყო 72 პირი, მათ შორის, 23 მასწავლებელი. სკოლის დირექტორის მოვალეობას დირექტორის მოადგილე თამარ ხვედელიძე ასრულებდა. არსებული ინფორმაციით, სასწავლო დაწესებულების დირექტორი ხათუნა ჯალაღონია 2018 წლის აპრილიდან შვებულებაში იმყოფებოდა.

სკოლას ჰყავს მხოლოდ ერთი სპეციალური მასწავლებელი, ტიფლოპედაგოგი, მობილობის ტრენერი, ექიმი და ფსიქოლოგი.

სასწავლო დაწესებულებას არ ჰყავს ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველებისა და ფიზიო-თერაპევტები. ადმინისტრაციის ცნობით, სკოლის სამტატო განრიგით¹⁵ გათვალისწინებულია

¹³ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, მუხლი 1, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი“. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4254838#DOCUMENT:1>; ბოლოს ნანახია: [25.07.2018].

¹⁴ წერილი N MES 5 18 01244970, 01.10.2018.

¹⁵ სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის სამტატო განრიგი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამარ ხვედელიძის მიერ. სამტატო განრიგი შეთანხმებულია

დასახელებული თანამდებობები, ასევე ინტეგრირებული ჯგუფის ხელმძღვანელი და მათი მიღება იგეგმება ახალი სასწავლო წლიდან.

მონიტორინგმა გამოკვეთა ოკუპაციური თერაპევტის მუშაობის ნაკლებობა, რომელიც ვალდებულია¹⁶ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა უნარ-ჩვევების განვითარებას, გარემოს მორგებას, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის 10 აპრილამდე სკოლას ჰყავდა ოკუპაციური თერაპევტი,¹⁷ ბენეფიციართა პირად საქმეებში არ ჩანს მის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ ჩანაწერები. ამასთან, დოკუმენტაციის შესწავლით და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ოკუპაციური თერაპევტი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სარგებლობდა ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებით და ფაქტობრივად არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ინტერვიუების შედეგად ასევე გამოიკვეთა აღმზრდელთა დამატების საჭიროება, ვინაიდან ისინი სხვა ვალდებულებებთან¹⁸ ერთად, პანსიონის მომსახურებით მოსარგებლე ბავშვებს გაკვეთილების მომზადებასა და საშინაო დავალებების შესრულებაში ეხმარებიან.

1.2. მანდატურის სამსახური

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁹ თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში მოქმედებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, რომლის ამოცანაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.²⁰

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. უწყების წერილი MES 9 18 00617061-24.05.2018.

¹⁶ სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის შინაგანაწესი, მუხლი 62.

¹⁷ ოკუპაციურ თერაპევტთან პირადი განცხადების საფუძველზე შრომითი ხელშეკრულება შეწყვეტილია 2018 წლის 10 აპრილიდან, სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის დირექტორის დროებით მ/შ-ს N1/კ-37 ბრძანებით.

¹⁸ სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის შინაგანაწესი, მუხლი 57.

¹⁹ საქართველოს კანონი “ზოგადი განათლების შესახებ” მუხლი 48¹. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>> [ბოლოს ნანახია 21.06.2018].

²⁰ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48³ მუხლის, 1 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობებს განეკუთვნება: საგანმანათლებლო დაწესებულების და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი; ამავე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება; სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება; მოსწავლეთა მშობლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ; დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და

მონიტორინგის დროს სკოლაში შტატგარეშე მოსამსახურედ დასაქმებული იყო 2 მანდატური, რომლებიც გასული 2 სასწავლო წლის განმავლობაში მუშაობდნენ აღნიშნულ პოზიციაზე.

სპეციალური პრევენციულ ჯგუფის წევრებს ინტერვიუების და პროცესზე დაკვირვების შედეგად გაუჩნდათ გონივრული ეჭვი, რომ სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს და მანდატურებს შორის ვერ ხერხდება ჯანსაღი თანამშრომლობის დამყარება. მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ რამდენიმე მასწავლებელი მათ მანდატურებთან მეგობრულ ურთიერთობას უკრძალავს, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ბავშვებზე ხორციელდება ფსიქოლოგიური ზეწოლა.

მანდატურები მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან საუბარში აღნიშნავენ, რომ კომპეტენციის ფარგლებში უწევთ სხვადასხვა შემთხვევაზე რეაგირება, რაც შესაძლოა იწვევდეს შემთხვევაში მონაწილე მასწავლებლების და სკოლის სხვა პერსონალის უკმაყოფილებას. ამასთან, უმეტესად, მანდატურები დაფიქსირებული დარღვევის შესახებ მხოლოდ სიტყვიერად ან „სკაიპის“ საშუალებით ატყობინებენ თავიანთ ხელმძღვანელობას და/ან სკოლის ადმინისტრაციას და არ იყენებენ კანონით გათვალისწინებულ²¹ ოფიციალურ წერილობით ფორმას. შესაბამისად, მსგავსი შეტყობინებები არ აღირიცხება.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს მიმართა.²² უწყებიდან მიღებული კორექციონდენციით,²³ რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს ჩვენ მიერ დასმულ საკითხებს, გვეცნობა, რომ „2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში N202 საჯარო სკოლიდან, ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაფიქსირებულია სულ რვა ფაქტი და გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები: ერთი დარღვევის აღრიცხვის ფურცელი (არაეთიკური ქმედება პედაგოგის მხრიდან მოსწავლის მიმართ (გადაეცა სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის), ხუთი სამედიცინო ფაქტი (ეცნობა სკოლის დირექციას, კლასის დამრიგებელს, მოსწავლის მშობელს, გამომახებულია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა), სოციალურ ქსელში მოსწავლის მიმართ უცხო პირისგან მუქარა (ეცნობა საპატრულო პოლიციას, არასრულწლოვანთა განყოფილებას, სკოლის დირექციას, კლასის დამრიგებელს, მშობელს, მოსწავლე გადამისამართებულია მანდატურის სამსახურის

კონფლიქტის მოგვარება; დამოუკიდებლად ან საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა; გამოვლენილი დარღვევის შესახებ სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა; საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა და სხვ.

²¹ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ მუხლი 48³, პუნქტი 1, „კ“ ქვეპუნქტი.

ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>> [ბოლოს ნანახია 24.07.2018]

²² წერილი N09-3/8536, 26.06.2018.

²³ წერილი N MES71800888740, 10.07.2018.

ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში. ამავე სკოლიდან მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში, მშობლებთან შეთანხმებით, 2016 წლის ივნისიდან 2018 წლის 20 აპრილამდე პერიოდში გადამისამართებულია შვიდი მოსწავლე. შევსებულია და სოციალური მომსახურების სააგენტოში გადაგზავნილია ბავშვთა დაცვის მიმართვის სამი ბარათი.“

შეკითხვის მიუხედავად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა წერილობით არ განგვიმარტა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევებზე რეაგირების **არსებული პრაქტიკა** და მხოლოდ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მუხლის ციტირებით შემოიფარგლა.

აღსანიშნავია, რომ მანდატურებს N202 საჯარო სკოლაში საქმიანობის დაწყებამდე არ გაუვლიათ ტრენინგი/სწავლება უსინათლო და მცირემხედველ პირებთან ურთიერთობის წესებისა და ეტიკეტის შესახებ, მათ მხოლოდ მუშაობის პროცესში შეიძინეს პრაქტიკული გამოცდილება. სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისმა დანაყოფმა უზრუნველყოს მანდატურების მომზადება სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ქცევის წესებისა და ეტიკეტის შესახებ.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ

- უზრუნველყოს სკოლა-პანსიონების/რესურს-სკოლების მიერ სადღეღამისო სპეციალიზებული მომსახურების მიწოდების სტანდარტის შემუშავება და დამტკიცება, სადაც სისტემატიზებულად და დეტალურად გაიწერება მისაწვდომობის, უსაფრთხოების, კონფიდენციალობის დაცვის, სოციალური ინკლუზიის, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის, ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, კვების და სხვა საკითხები

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა

- კანონით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების მიერ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 48³ მუხლის 1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარღვევის აღრიცხვის ფურცლების“ შედგენა და იდენტიფიცირებულ დარღვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების განხორციელება.

სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ:

- ეფექტური თანამშრომლობის დამყარებით ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებაში
- სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით უზრუნველყოს პროფესიონალი კადრების, მათ შორის, ოკუპაციური თერაპევტის, სპეციალური მასწავლებლების, მობილობის ტრენერების, მეტყველების თერაპევტების, ასისტენტების საჭირო რაოდენობით დასაქმება და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა

- 2019 წლის ბოლომდე უზრუნველყოს სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლების მასწავლებელთა გადამზადება შშმ მოსწავლეებთან ქცევის წესებისა და ეტიკეტის შესახებ.

2. ინკლუზიური სწავლება

ყველა ბავშვის თანაბარი უფლება განათლებაზე აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით.²⁴ აღნიშნული კონვენციების მონაწილე სახელმწიფოები თანხმდებიან იმაზე, რომ განათლება გამიზნული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული მოცულობით განვითარებაზე.²⁵

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს განათლების უფლების თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის უზრუნველყონ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა, რათა არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარიყვა ზოგადი განათლების სისტემიდან შეზღუდული შესაძლებლობის გამო.²⁶

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინკლუზიური განათლება გულისხმობს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად,²⁷ ხოლო სსსმ მოსწავლის სტატუსის მატარებელი შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს: „ა) ფიზიკური შეზღუდვა, ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა, გ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის), დ) მეტყველების განვითარების

²⁴ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 28; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 24.

²⁵ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 29, პუნქტი 1.

²⁶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენცია, მუხლი 24.

²⁷ საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი „უ“.

დარღვევა, ე) ქცევითი და ემოციური დარღვევა, ვ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება, ზ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.²⁸

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ინკლუზიური სწავლების პრიორიტეტულობის აღიარების პარალელურად საჭიროდ მიიჩნევს სპეციალიზებული პროფილის მქონე სკოლების (სკოლა-პანსიონები) საშუალებით სპეციალური სწავლების უზრუნველყოფას, აცნობიერებს რა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს ყველა სახის საგანმანათლებლო საჭიროების დაკმაყოფილებას.²⁹

მონიტორინგის მომენტში სპეციალიზებულ პროფილს ატარებდა სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლაც, რომლის ყველა მოსწავლეს აღენიშნება სენსორული (მხედველობის) დარღვევები ხშირ შემთხვევაში სხვა (მენტალურ, ფსიქიკურ ან ფიზიკურ) დარღვევებთან ერთად. ამის გათვალისწინებით ყოველი მათგანი საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაცია/აკომოდაციას - ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (ისგ) სწავლებას.³⁰

მიუხედავად ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით N202 საჯარო სკოლას არ გააჩნია ინკლუზიური განათლების დანერგვის სამოქმედო გეგმა და შიდა მონიტორინგის მექანიზმი.³¹ ამასთან, მასწავლებელთა ნაწილი უარყოფითადაა განწყობილი მრავლობითი შეზღუდვის მქონე, განსაკუთრებით, ქცევის პრობლემის მქონე მოსწავლეთა მიმართ და თვლიან, რომ ისინი არ უნდა სწავლობდნენ N202 საჯარო სკოლაში. აღნიშნული ნაწილობრივ განპირობებულია სპეციალური მასწავლებლის და სხვა საჭირო პროფესიონალების არასაკმარისი რაოდენობითა და არაეფექტური მუშაობით, თუმცა ასევე იკვეთება სკოლის პედაგოგთა დაბალი ცნობიერება ინკლუზიური განათლების არსის შესახებ.

2.1. მოსწავლის პირადი საქმის წარმოება

N202 საჯარო სკოლის მონიტორინგის შედეგად ხარვეზები გამოიკვეთა დოკუმენტაციის წარმოების მხრივ. მოსწავლის პირადი საქმეები მოუწესრიგებელია, ჩანაწერები არაინფორმატიულია. ხშირ შემთხვევაში, მათში არ დევს კანონმდებლობით³² დადგენილი

²⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის ბრძანება № 36/ნ -ით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა, დანართი, თავი V, მუხლი 27.

²⁹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1231 ბრძანება „განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

³⁰ ეროვნული სასწავლო გეგმა, დანართი, თავი 8, მუხლი 41

³¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება N16/ნ, თავი V. მუხლი 22, პუნქტი „თ“.

³² საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი

დოკუმენტები, მათ შორის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრებზე წარმოებული სხდომის ოქმები, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N IV-100/ა და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ერთი მოსწავლის პირად საქმეში მოთავსებულია სხვა მოსწავლის დოკუმენტაცია.

მოსწავლის პირად საქმეში სრულად არ არის ასახული ინფორმაცია სკოლაში სწავლის განმავლობაში მისი შეფასების, აქტიურობის და ჩატარებული სამუშაოს შესახებ, შესაბამისად, ვერ ხერხდება დინამიკის შეფასება.

დოკუმენტაციაში ასევე არ ფიქსირდება მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტის მუშაობის შესახებ ინფორმაცია, მისი მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, ან მის მიერ გაცემული რეკომენდაციები მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლაში და სახლის გარემოში აქტივობების და რესურსების მორგების კუთხით.

მოსწავლეთა პირადი საქმეების გაცნობისას აღმოჩნდა, რომ სკოლის 38 მოსწავლის შეფასებისას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურმა გუნდმა (შემდეგ მულტიდისციპლინური გუნდი) დაასკვნა, რომ მოსწავლე საჭიროებს და სკოლაში ჩარიცხვისთანავე უნდა შედგეს თითოეულ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თუმცა ასეთი გეგმა მხოლოდ 12 მოსწავლისთვის არის შედგენილი და ისიც მხოლოდ რამდენიმე საგანში. სკოლის ადმინისტრაციის ცნობით,³³ 5 მოსწავლისთვის ვერ მოხერხდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (მოსწავლეები ვერ მეტყველებენ, აქვთ მენტალური პრობლემა, ფსიქიკური აშლილობა).

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ვერ მოიპოვეს დოკუმენტური დასაბუთება, თუ რატომ უგულებელყო სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციები სკოლამ ან/და კონკრეტულმა მასწავლებელმა. კლასის დამრიგებლებმა საუბარში აღნიშნეს, რომ პედაგოგებმა თავად არ ჩათვალეს საჭიროდ მოსწავლის სწავლება ისგ-თი. ამასთან, დოკუმენტაციაში ვერ მოიძებნა მულტიდისციპლინური გუნდის პერიოდული შეფასების ამსახველი დასკვნები.³⁴

აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/72598>> [ბოლოს ნანახია: 09.07.2018].

³³ წერილი N MES91801093099, 07/09/2018.

³⁴ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის“ მე-11 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, თუ არსებობს საგნის მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაბუთებული ვარაუდი, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით

მულტიდისციპლინური გუნდის ზოგ ყველა შეფასებაში ნათლად არ ჩანს კონკრეტულად რა ტიპის ცვლილებას საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმა - გადაწყობა/ადაპტაციას თუ მოდიფიკაციას/ცვლილებას/გამარტივებას, ასევე, საჭიროებს თუ არა მოსწავლე ყველა საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას.

2.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება ხარვეზებით და არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ სტანდარტს.³⁵

- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში არ არის მითითებული საგნების მიმართულებები და მიმართულების შესაბამისად დაკონკრეტებული გრძელვადიანი მიზნები
- გრძელვადიან მიზნებში არ არის მითითებული ეფუძნება თუ არა მიზანი ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუ წარმოადგენს ალტერნატიულ მიზანს
- მოკლევადიანი მიზნები არ არის გრძელვადიანი მიზნების შესაბამისი, გაზომვადი, რელევანტური, სპეციფიური, რეალისტური და დროში გაწერილი
- თითოეულ მოკლევადიან მიზანზე საკმარისი აქტივობა არ არის გაწერილი, ხოლო გაწერილი აქტივობები არ მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს
- არ არის მითითებული საჭირო რესურსების ჩამონათვალი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში აღწერილი არ არის მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროება (ინდივიდუალური განრიგი, დამატებითი ტექნიკური მასალა და დამხმარე საშუალებები, დამატებითი სერვისი: ლოგოპედი, ოკუპაციური თერაპევტი და ა.შ.)

ამასთან, ისგ-ში არ არის მითითებული მათი შედგენის თარიღი, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება შემოწმდეს შედგა თუ არა ის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.³⁶

გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს კონკრეტულ საგანში/საგნებში და აღარ ესაჭიროება მინიჭებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსი, მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას აფასებს და შესაბამის დასკვნას ადგენს მულტიდისციპლინური გუნდი.

³⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის ბრძანება № 36/ნ -ით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა, დანართი, თავი V, მუხლი 28.

³⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის ბრძანება № 36/ნ -ით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმა, დანართი თავი V, მუხლი 28, პუნქტი 3.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის სხდომის ოქმები არ არის მისაწვდომი ფორმით.³⁷ მოინახა მხოლოდ 3 მოსწავლის ისგ-ს შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები, სადაც ასახული ინფორმაცია იყო შაბლონური და არაინფორმატიული.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს მულტიდისციპლინური გუნდის მხარდაჭერა სკოლის ინკლუზიური განათლების განვითარებაში, მათი მუშაობის ეფექტურობა არ არის ასახული სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმების ხარისხზე.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს:

- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში ნათლად გაიწეროს რა ტიპის ცვლილებას საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმა და რომელ საგანში საჭიროებს მოსწავლე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას
- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურმა გუნდმა კონსულტაცია გაუწიოს საგნის მასწავლებლებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სტანდარტთან შესაბამისობით შედგენის საკითხზე
- 2019 წლის ბოლომდე უზრუნველყოს N202 საჯარო სკოლის მასწავლებლების და პერსონალის გადამზადება ინკლუზიური განათლების არსისა და პრინციპების თაობაზე

სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ:

- შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების დანერგვის სამოქმედო გეგმა
- შექმნას შიდა მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმი და უზრუნველყოს მონიტორინგის პერმანენტულად (არანაკლებ წელიწადში ერთხელ) ჩატარება
- მასწავლებლებმა, ინკლუზიურ განათლებაში ჩართულმა პირებმა პროფესიული განვითარების მიზნით ითანამშრომლონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, რომელთაც მოპოვებული აქვთ ინკლუზიური განათლების სასწავლო პროგრამების განხორციელების უფლება
- საგნის მასწავლებლებმა აწარმოონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების დაცვით
- სრულყოფილად აწარმოონ მოსწავლის პირადი საქმე, სსსმ მოსწავლეების პირად საქმეში იქონიონ მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება, ინდივიდუალური

³⁷ ეროვნული სასწავლო გეგმა. დანართი, თავი V, მუხლი 28, პუნქტი 8,9.

სასწავლო გეგმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის ყველა შეხვედრაზე წარმოებული სხდომის ოქმები და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობები, მათი არსებობის შემთხვევაში

- უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდისათვის მიმართვა მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის გამოხატვისას, ასევე განმეორებითი შეფასების მიზნით
- უზრუნველყონ მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე მოსწავლეთა ისგ-ს შედგენა ყველა საგნის მასწავლებლის მიერ, მოსწავლის ჩარიცხვისთანავე.

3. ძალადობისგან დაცვა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად მონაწილე სახელმწიფოები მიმართავენ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა ბავშვი დაიცვან ყველა ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისგან, იმისგან, რომ ბავშვი მოკლებული იყოს ზრუნვას, დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.

დაცვის ასეთი ზომები, აუცილებლობის შემთხვევაში, მოიცავს ეფექტიან პროცედურებს სოციალური პროგრამების შესამუშავებლად იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა გაუწიონ ბავშვს და მასზე მზრუნველ პირებს, აგრეთვე განახორციელონ გაფრთხილებისა და გამოვლენის, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის სხვა ფორმები და შემდგომი ღონისძიებანი ბავშვისადმი სასტიკი მოპყრობის ზემოთ ნახსენებ შემთხვევებთან დაკავშირებით, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის აღძვრისათვის.³⁸

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-16 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს ყველა ზომის მიღებას შშმ პირთა ექსპლუატაციის, ძალადობის და შეურაცხყოფისაგან, მათ შორის, სქესობრივი დისკრიმინაციისგან დასაცავად.

სახელმწიფოები ასევე იღებენ ეფექტურ, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებზე ორიენტირებულ კანონმდებლობას და სტრატეგიებს, რათა უზრუნველყონ შშმ პირთა ექსპლუატაციის, ძალადობის და შეურაცხყოფის შემთხვევების გამოვლენა, გამოძიება და დასჯა.³⁹

³⁸ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 19, პუნქტი 2.

³⁹ იქვე, მუხლი 16, პუნქტი 5.

ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში ბავშვთა მიმართ ძალადობის მარეგულირებელი ნორმები სხვადასხვა სპეციალურ კანონშია ასახული და უნიფიცირებული სახით ჯერ არ არსებობს. ძალადობის კონტექსტის მიხედვით ეს კანონები ეხება ზოგად განათლებას, ოჯახში ძალადობას, სააღმზრდელო დაწესებულების ლიცენზირებასა და სხვა დარგობრივ სფეროებს. თუმცა, არცერთ საკანონმდებლო აქტში არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ სპეციალური და მგრძობიარე მიდგომები.

მაგალითად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის არსებული რედაქცია, ასევე 2018 წლის 13 ივნისის რედაქცია, რომელიც 2018 წლის 15 სექტემბრიდან შედის ძალაში - არ ითვალისწინებს შშმ ბავშვის განსაკუთრებულ მოწყვლადობას ძალადობის მიმართ. შესაბამისად, ამ კანონის არც ძველი და არც ახალი წესი არ გვთავაზობს შშმ ბავშვების საჭიროებებისადმი მგრძობიარე მიდგომას ძალადობის პრევენციის, აღმომფხვრის, ზიანის კომპენსაციის თუ სხვა საკითხების მიმართ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებებისადმი ნეიტრალური და არამგრძობიარე ასევე საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული დოკუმენტი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული დოკუმენტი, ბავშვის აღზრდის და საგანმანათლებლო სივრცეებში წარმართავს ძალადობის ინდივიდუალურ შემთხვევებთან რეაგირების მექანიზმს. დოკუმენტის ნეიტრალური შინაარსი და ფორმა შშმ ბავშვების განსაკუთრებული საჭიროებების გაუთვალისწინებლობით მეტწილად განაპირობებს პრაქტიკაში იმ პრობლემებს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

3.1. ძალადობაზე რეაგირების ერთიანი სისტემის ნაკლებობა

როგორც მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, N202 საჯარო სკოლას არ დაუნერგავს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ერთიანი სისტემა. სკოლის ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას ფლობენ ძალადობის ფორმების შესახებ. სკოლის ადმინისტრაცია არ არის ინფორმირებული სკოლაში ძალადობის შემთხვევების შესახებ და უარყოფს მათ არსებობას, მაშინ როდესაც, სკოლის მანდატურების მხრიდან რეალურად ხდება ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გადამისამართება შესაბამის ორგანოში. მაგალითად, მანდატურთა ცნობით, მიმდინარე წელს მათი მხრიდან იყო რეფერირების მინიმუმ 3 შემთხვევა. სხვადასხვა წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაციით გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაცია არ თანამშრომლობს მანდატურთა სამსახურთან, რაც ყველა ბავშვს განმეორებითი ძალადობის რისკის ქვეშ აყენებს.

სკოლის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ ძალადობის ან კონფლიქტის შემთხვევები სკოლაში არასდროს დაფიქსირებულა. ბავშვები მეგობრობენ. კონფლიქტებს ადგილია არ ჰქონია არც მოსწავლეებსა და აღმზრდელებს შორის. სკოლას არ აქვს კონფლიქტებისა და ძალადობის

აღრიცხვის ჟურნალი, რადგან, მათი მოსაზრებით, არ სჭირდებათ (აქვთ სამსახურებრივი ბარათები). სკოლიდან რომელიმე ბავშვის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში რეფერირება არ მომხდარა. არ ყოფილა ძალადობასთან დაკავშირებული ფაქტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ შესწავლის შემთხვევა.

მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში მოსწავლეები არ მიმართავენ სკოლის ადმინისტრაციას და ყველა შემთხვევაში ერთმანეთში თავად აგვარებენ პრობლემებს. მოსწავლეთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ამგვარ პრობლემებში სკოლის ადმინისტრაციის ჩართვა არ არის „სწორი საქციელი“.

მონიტორინგის ჯგუფმა ასევე ინფორმაცია მიიღო იმის თაობაზე, რომ სკოლის ადმინისტრაცია არასასურველად მიიჩნევს ბავშვების თანამშრომლობას მანდატურებთან და რიგ შემთხვევაში ახდენს ასეთ ბავშვებზე ზეწოლას.

სკოლის ადმინისტრაციის მსგავსად მასწავლებლებმა და ფსიქოლოგმა დაადასტურეს, რომ არ იციან რეფერირების პროცედურის შესახებ. ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ არ ფლობს ასეთ ინფორმაციას და არც არავის აუხსნია მისთვის პროცედურის თაობაზე სამსახურში მოსვლისას. სიტყვიერად დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მიუთითებს, რომ ყველა პედაგოგმა, აღმზრდელმა და ძიძამ იცის რეფერირების შესახებ, თუმცა მათ სკოლაში ამის საჭიროება არ არსებობს.

3.2. პრევენციული და სარეაბილიტაციო სერვისების არარსებობა

N202 საჯარო სკოლაში არ არის დანერგილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალადობის პრევენციის სერვისები, ასევე არ არსებობს ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის რესურსი. სკოლის ფსიქოლოგის განცხადებით, მისი სამუშაო ორიენტირებულია ბავშვების მხედველობისა და სხვა სახის შეზღუდვიდან გამომდინარე და არა ძალადობით გამოწვეული შედეგის რეაბილიტაციაზე.

საქმე N1

N202 საჯარო სკოლის 17 წლის მოსწავლეს აღენიშნება მძიმე აუტისტური სპექტრის დარღვევა და მძიმე ინტელექტუალური შეფერხება, ასევე ქცევის მნიშვნელოვანი დარღვევა, აქვს მეტყველების შეზღუდვა და არის მცირედმხედველი. ქცევის დარღვევის გამო დანიშნული აქვს ფსიქოტროპული მედიკამენტები, თუმცა ისინი არაეფექტურია, ვინაიდან ქცევის დარღვევა არ აღმოფხვრილა.

12 წლის ასაკში პირველად მიიყვანეს სკოლაში, თუმცა, მამის დაჟინებული მოთხოვნით იგი დასვეს არა თავის ასაკისთვის შესაბამის კლასში, არამედ პირველ კლასში. სკოლის

ადმინისტრაციის გადმოცემით, ამის მიზეზი ის იყო, რომ ზედა კლასში ყოფნის შემთხვევაში ბავშვს უფრო ადრე უწევდა სკოლის დასრულება, მაგრამ მისი სახლში წაყვანა მამას არ სურდა. აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექციამ, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ვერ შეძლო გამკლავებოდა ბავშვის ოჯახის პროტესტს და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა სკოლაში, ასაკის შესაბამის კლასში ჩაირიცხა, გოგო 202-ე სკოლაში, ასაკობრივად შეუფერებელ კლასში დატოვეს.

აღსანიშნავია, რომ N202 საჯარო სკოლამ არაერთხელ აცნობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროების დასაკმაყოფილებლად სკოლის რესურსები არ იყო საკმარისი და ადეკვატური, თუმცა, სამინისტროს შესაბამისი ზომები არ მიუღია. სკოლის ადმინისტრაციის გადმოცემით, მოცემულ მოსწავლესთან გაცილებით ეფექტური იქნებოდა შესტების სპეციალისტის მუშაობა, მაგრამ სკოლას ამ სერვისის მიწოდება არ შეუძლია.

მონიტორინგის ჯგუფმა ინფორმაცია მიიღო ამავე ბავშვის მიმართ მამის მხრიდან განხორციელებული შესაძლო ძალადობის შესახებ, რომელსაც სავარაუდოდ აქვს მრავალჯერადი ხასიათი. სკოლის ადმინისტრაციის გადმოცემით, მოსწავლეს აქვს გამოხატულად ნეგატიური რეაქცია მამაკაცებზე და მამის მიმართ შიშს ყვირილით და ტირილით გამოხატავს. იგი უარს ამბობს მამის მანქანაში ჩაჯდომასა და სახლში დაბრუნებაზე, მისი დანახვისას ეხუტება ძიძებს და ტირის. ადმინისტრაცია ვარაუდობს, რომ მამა მთელს ოჯახზე, და მათ შორის, ქალიშვილზეც ძალადობს, მაგრამ აღნიშნულის დადასტურება გოგოს მეტყველების შეზღუდვის გამო არ შეუძლია. ბავშვი ასევე ავლენს თავისი ასაკისთვის უჩვეულო სექსუალურ ქცევას და ემოციურ რეაქციებს, რომელიც აჩენს სერიოზულ ეჭვს მის მიმართ განხორციელებულ შესაძლო სექსუალურ ძალადობაზე. სკოლამ მიმართა შესაბამის უწყებებს, თუმცა, მათ დღემდე არ განუხორციელებიათ საქმის ძირეული მოკვლევა.

კერძოდ, 2017 წლის 22 ნოემბერს N202 საჯარო სკოლის დირექტორმა წერილობით შეატყობინა ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს იმის თაობაზე, რომ გოგო საჭიროებდა ჯანმრთელობისთვის გადაუდებელ მკურნალობას, თუმცა ოჯახს „მოსწავლე არ მიჰყავს სახლში სამკურნალოდ და იმყოფება პანსიონერ მომსახურებაზე“. სკოლა ბავშვის სამედიცინო საჭიროებების აშკარა უგულებელყოფის გამო იძულებული გახდა ბავშვისთვის მკურნალობა ადგილზე გაეწია. აღნიშნული გადაწყვეტილება კი სკოლის ექიმ-პედიატრის სამსახურეობრივი ბარათის თანახმად, ცალსახად ეწინააღმდეგებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესს და არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის უფლებას, ვინაიდან „სკოლის პანსიონში დატოვება წარმოადგენს საფრთხეს მისი ჯანმრთელობისთვის“.

მონიტორინგის პროცესში ბავშვი გაყვანილი იყო სახლში, სადაც არსებობს ძალადობის სერიოზული საფრთხე. ბავშვის მიმართ ძალადობის ნიშნების და უგულებელყოფის მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, სკოლამ ვერ შეძლო ადმინისტრაციული

ორგანოების, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანი ჩართვა საქმეში, რის გამოც, ბავშვი განგრძობითი საფრთხის ქვეშ იმყოფება.

სახალხო დამცველმა ბავშვზე განხორციელებული სავარაუდო ოჯახში ძალადობის ან/და უგულვებელყოფის ფაქტთან (საქმე N7796/18) დაკავშირებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. არასრულწლოვანზე ოჯახში ძალადობის/უგულვებელყოფის ფაქტი საწყის ეტაპზე სააგენტომ ვერ დაადასტურა.⁴⁰ სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საქმის შესწავლას.

საქმე N2

მონიტორინგის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია ერთ-ერთი მოსწავლის მიმართ განხორციელებული შესაძლო კიბერბულინგის შესახებ, რომლის შემდეგაც მოსწავლეს განუვითარდა მძიმე ემოციური მდგომარეობა და სუიციდის საფრთხის წინაშე დადგა. აღნიშნულ შემთხვევაზე ინფორმირებული იყვნენ სკოლის მანდატურები, თუმცა ინფორმაციას სრულფასოვნად არ ფლობდა სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის ფსიქოლოგის განმარტებით, მას აღნიშნულ მოსწავლესთან არ უმუშავია, ვინაიდან, მისი აზრით, იგი არ საჭიროებდა ფსიქოლოგის დახმარებას, მიუხედავად მძიმე სტრესული მდგომარეობისა. ფსიქოლოგმა საუბრისას აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ მოსწავლეს აქვს მხოლოდ მხედველობის შეზღუდვა და არა ქცევის პრობლემა, ასეთ შემთხვევაში კი ბავშვთან მუშაობა არ ევალუება. შესაბამისად, ბავშვისთვის ემოციური დახმარების გაწევა უწევთ სკოლის მანდატურებს, რაც ცალსახად სცილდება მათ კომპეტენციას, ვერ იქნება ეფექტური და ვერ ამცირებს ბავშვის სიცოცხლის ხელყოფისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების რისკებს.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტმა

- უზრუნველყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და რეაგირების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ სპეციალური და მგრძობიარე მიდგომების გაძლიერება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ:

⁴⁰ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის რაიონული განყოფილების წერილი #04-14-07/1488 (11.06. 2018) და #04-14-07/1470 (08,06.2018).

- უზრუნველყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ერთიანი სისტემების შემუშავება სკოლაში, რომელიც გაითვალისწინებს სკოლის ადმინისტრაციასა და მანდატურებს შორის უკეთეს კოორდინაციას
- უზრუნველყოს სკოლებში ძალადობის პრევენციის და რეაბილიტაციის მექანიზმების დანერგვა, მათ შორის, უზრუნველყოს ანგარიშვალდებული პირების მიერ ძალადობის ფაქტის დამალვის ან მასზე არასათანადო რეაგირების შემთხვევების იდენტიფიცირება და მათზე ადეკვატური რეაგირება.

4. მოსწავლეთა ინფორმირებულობა ბავშვთა უფლებების შესახებ და დაცვის მექანიზმები

გაეროს ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 42-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით, კონვენციის პრინციპები და დებულებები ფართოდ გააცნონ როგორც უფროსებს, ასევე ბავშვებს. ამავე დროს, უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობისთვის უნდა არსებობდეს ბავშვისთვის საკუთარი უფლებების დაცვის ადეკვატური მექანიზმი.

აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტის შემოტანა ეროვნულ კანონმდებლობაში, კვლავაც შშმ პირთა მიმართ მგრძობელობის გარეშე მოხდა და არ ითვალისწინებს მათ სპეციალურ საჭიროებებს უფლებების შესახებ ცოდნის მიღებისა და მექანიზმის გამოყენებისათვის. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-12 მუხლები, რომელიც სკოლაში ბავშვის მხრიდან უფლებების გაცნობისა და გასაჩივრების მექანიზმის გამოყენებას ეხება, არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შესაძლოა უსინათლო ან ყრუ ბავშვს, ასევე ინტელექტუალური შეფერხების მქონეს, სტანდარტული წესით ვერ გააცნოს მასწავლებელმა უფლებები. ხოლო ბავშვმა სტანდარტული წესით ვერ გამოიყენოს დამოუკიდებლად გასაჩივრების მექანიზმი. ამ საჭიროების დაკმაყოფილებისთვის კი კანონი უნდა ქმნიდეს სპეციალურ მხარდაჭერის მექანიზმს.

როგორც N202 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, მათი ინფორმირებულობა ბავშვთა უფლებების შესახებ არასაკმარისია. მათი უმრავლესობა მხოლოდ დეკლარაციულად ფლობს ინფორმაციას, თუმცა როგორ უკავშირდება ეს მათ რეალურ ცხოვრებას - მათთვის უცნობია. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილებზე იღებენ ცოდნას უფლებების შესახებ, თუმცა მათი დარღვევის შემთხვევაში ვერ ახერხებენ მათ დაცვას. აღნიშნულის მაგალითია მოსწავლეთა გამოხატული უკმაყოფილება კვების რაციონით, რომელიც მათი გადმოცემით იმდენად მცირეა, რომ შიმშილს გრძობას ვერ უკლავს. მიუხედავად ამისა, არ იციან როგორ უნდა დაიცვან საკუთარი უფლებები ამ მიმართულებით. მონიტორინგის ჯგუფმა ასევე ვერ მიაკვლია საჩივრების ყუთს ან სხვა

მექანიზმს, რომლითაც მოსწავლეები შეძლებდნენ დარღვეული უფლებების შესახებ ადმინისტრაციისთვის მიმართვას.

ადმინისტრაციის გადმოცემით, სკოლაში იმდენად არ აქვს ადგილი მოსწავლეთა უფლებების დარღვევას, რომ ამგვარი რეაგირების საჭიროება არც კი არსებობს.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტმა

- უზრუნველყოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-12 მუხლებში ნეიტრალური ჩანაწერის ცვლილება შშმ ბავშვთა საჭიროებების მიმართ მგრძობიარე ჩანაწერით, რომელიც გაითვალისწინებს შშმ ბავშვებისთვის უფლებების გაცნობისა და გასაჩივრების მექანიზმის დანერგვის ვალდებულებას და ამ მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას სხვადასხვა მეთოდით.

სსიპ თბილისი N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ:

- უზრუნველყოს ბავშვთა უფლებების შესახებ ბავშვებისათვის ცოდნის აქტიური და ხელმისაწვდომი ფორმით მიწოდება, რათა მათ შეძლონ ბავშვთა უფლებების დაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან
- უზრუნველყოს გასაჩივრებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის დანერგვა, რომელიც სრულად ხელმისაწვდომი იქნება ყველა ბავშვისთვის.

5. პირადი ცხოვრების უფლებაში დისკრიმინაციული ჩარევა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას პირი დაცული იყოს ყველას სახის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციისგან. ამავე კონვენციის თანახმად, გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაზე უარი ჩაითვლება დისკრიმინაციად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ.⁴¹ მიუხედავად აღნიშნული სტანდარტისა, 2014 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს გონივრულ მისადაგებაზე უარს, როგორც დისკრიმინაციის სპეციალური ფორმის აკრძალვას. ამგვარი საკანონმდებლო ხარვეზი უარყოფითად აისახება შშმ პირთა უფლებების რეალიზების პროცესზე ქვეყანაში.

⁴¹ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია, მუხლი 2.

მონიტორინგის დროს გამოვლინდა ბავშვთა პირადი ცხოვრების უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტები, რომელსაც საფუძვლად უდევს შეზღუდული შესაძლებლობა, როგორც ნიშანი. დარღვევას ასევე იწვევს ადმინისტრაციის მხრიდან ინფორმაციის ნაკლებობა და სკოლაში უსაფრთხოების საკითხის დაცვის ხარვეზები.

მოსწავლეებთან საუბრისას გაირკვა, რომ სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებას წარმოადგინეს მათი უწყვეტი ვიზუალური და ფიზიკური კონტროლი. კერძოდ, ვინაიდან ადმინისტრაცია არ ახდენს რთული ქცევის პრევენციას, ისინი იძულებული ხდებიან მუდმივად ბავშვების გვერდით იყვნენ. ბავშვების გადმოცემით ეს განსაკუთრებით შემზღუდველია, რადგან მათ ხშირად არ აქვთ სივრცე ერთმანეთთან პრივატულად სასაუბროდ. ასევე დამთრგუნველია, ადმინისტრაციის ზოგიერთი წევრის მხრიდან ამ კონტროლის უხეში ფორმებით განხორციელება. როგორც უსინათლო და მცირემხედველი ბავშვები აღნიშნავენ, ძალიან ხშირად მათ ესმით ხმა, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა და რადგან ამას მხედველობით ვერ აღიქვამენ, ხოლო შემოსული პირი, სავარაუდოდ ადმინისტრაციის წარმომადგენელი, თავს არ წარადგენს, ბავშვები ხმამაღლა სვამენ კითხვას თუ ვინ არის შემოსული პირი და რა მიზნით შემოვიდა, მაგრამ უმეტესად ამაზე პასუხს ვერ იღებენ, რაც მათთვის დამამცირებელია და პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას წარმოადგენს. აღნიშნულის გამო, ისინი ვერ ახერხებენ მეგობრებთან სრულფასოვან ურთიერთობას, აქვთ მუდმივი კონტროლის და ჩარევის განცდა.

აღნიშნულ ჩარევას, მათი აზრით, გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ხასიათი. მათ რომ ჰქონდეთ შესაძლებლობა, დააფიქსირონ თუ ვინ იმყოფება ან შემოდის ოთახში, მოახერხებდნენ პრივატული სივრცის დაცვას, მაგრამ ვიზუალური კონტროლის შეზღუდვა მათ დაუცველად ტოვებს ამგვარი ჩარევის წინაშე.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან ბავშვების უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნის დასაცავად შერჩეულია ისეთი საშუალება, რომელიც არაპროპორციულად მაღალი ინტენსივობით მოითხოვს ბავშვების კონტროლს და პირადი სივრცის შეზღუდვას. თავად ადმინისტრაციაც აღიარებს, რომ სხვა ტექნიკური თუ მეთოდოლოგიური საშუალების არარსებობის გამო, მათ მუდმივად ვიზუალური კონტროლი უწევთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივი ვიზუალური კონტროლი გარკვეულწილად შელახავს ბავშვების ღირსებას, რადგან ისინი აღნიშნულს მათ მიმართ დიდი უნდობლობის გამოხატულებად აღიქვამენ. ღირსების შელახვის ფასად ნებისმიერი დისციპლინური თუ საგანმანათლებლო ღონისძიების გატარება აკრძალულია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებით.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტმა

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანოს ცვლილებები, რითიც მოახდენს გაეროს შშმ პირთა კონვენციასთან ჰარმონიზებას და გონივრულ მისადაგებაზე უარის თქმას მიიჩნევს დისკრიმინაციის სპეციალურ ფორმად.

სსიპ თბილისი N202 საჯარო სკოლამ

- შეიმუშაოს ბავშვთა უსაფრთხოების დაცვის ალტერნატიული, მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომა და აღმოფხვრას ბავშვების პირად სივრცეში შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციული ჩარევა.

6. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მობილობის ორიენტაცია

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის, სრული ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მიღწევის უმნიშვნელოვანეს წინაპირობად გაეროს კონვენცია⁴² აღიარებს სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის, დასაქმების, განათლებისა და სოციალური მომსახურების სფეროში ყოვლისმომცველი სარეაბილიტაციო და სააბილიტაციო პროგრამებისა და მომსახურების განხორციელებას. ამისათვის, კი სხვა ღონისძიებებთან ერთად, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო მომსახურებაში დასაქმებული სპეციალისტებისა და პერსონალის პირველად და შემდგომ განათლებას.⁴³

N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მოსწავლეთა რეაბილიტაციის, აბილიტაციის, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერების, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით მუშაობს ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი და მობილობის ტრენერი.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს რესურს ოთახი, რომელიც ნაწილობრივ აღჭურვილია დამხმარე სასწავლო რესურსებით, თვალსაჩინოებითა და სამუშაო ინვენტარით, სადაც მოსწავლეები ივითარებენ შემეცნებით და აკადემიურ უნარებს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს რესურს ოთახით არცერთ მოსწავლეს არ უსარგებლია. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა სპეციალური მასწავლებლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა. აღნიშნულის გამო მონიტორინგის ჯგუფმა ასევე ვერ მოახერხა რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებლის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესწავლა/შეფასება.

⁴² „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია, მუხლი 26, პუნქტი 1.

⁴³ იქვე, მუხლი 26, პუნქტი 2.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ რეაბილიტაცია/აბილიტაციის ღონისძიებების ეფექტური განხორციელებისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებას არ ჰყავს საკმარისი სპეციალისტები, კერძოდ: ოკუპაციური თერაპევტი, ქცევის თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი ⁴⁴ და მობილობის ტრენერი. არ ხდება მოსწავლეებთან აბილიტაცია/რეაბილიტაციის მიზნით გაწეული მუშაობის დოკუმენტირება, რაც ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოს ეფექტიანობისა და უწყვეტობის მონიტორინგის შესაძლებლობას გამორიცხავს.

სკოლაში დასაქმებული მობილობის მხოლოდ ერთი ტრენერი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეების გარემოსთან ურთიერთობის და დამხმარე საშუალებით დამოუკიდებლად გადაადგილების უნარ-ჩვევების განვითარება, დღის განმავლობაში ახერხებს მხოლოდ ხუთ მოსწავლესთან მუშაობას. მისი ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ნომინალურია. მობილობისა და ორიენტაციის შესასწავლად არ არის გამოყოფილი სპეციალური ოთახი.

ინტერვიუების დროს 10 წლის უსინათლო მოსწავლემ, რომელიც სარგებლობს პანსიონური მომსახურებით აღნიშნა, რომ ის არასდროს ყოფილა ეზოში მობილობის ტრენერთან ერთად. დამრიგებელი ოთახში ასწავლის ხელჯოხით გადაადგილებას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი დამოუკიდებლად გადაადგილების უნარის განსავითარებლად.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის ფსიქოლოგი არ ფლობს უსინათლო მოსწავლეთა დიაგნოსტიკებისა და მათთან მუშაობისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, რითაც ხსნის სიმნელებს სამუშაოს შესრულებისა და დოკუმენტირების სიმნელებს. ფსიქოლოგი აღნიშნავს, რომ საჭიროებს პროფესიულ განვითარებას, რასაც სკოლა და სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს.

მეტყველების თერაპევტმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ის მუშაობს მეტყველების დარღვევის მქონე 18 მოსწავლესთან, თუმცა განხორციელებულ სამუშაოებზე ჩანაწერებს არ აწარმოებს. შესაბამისად ვერ მოხერხდა მის მიერ შესრულებული სამუშაოს ეფექტიანობის შემოწმება.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, მიუხედავად მრავლობითი დარღვევის ქონისა N202 საჯარო სკოლის მოსწავლეები არც „ბავშვზე ზრუნვისა და სოციალური რეაბილიტაციის“ სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებულ მომსახურებებს არ იღებენ.

უსინათლო მოსწავლეთა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნის მისაღებად აუცილებელია ინტენსიური მუშაობა, რაც გამოყოფილი საათების და მასწავლებლების

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N-476 დადგენილებით „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის განსაზღვრის შესახებ“- 14-იდან 24 სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია იყოლოს 2 სპეციალური მასწავლებელი და ფსიქოლოგი ან კოორდინატორი.

რაოდენობის გათვალისწინებით ნაკლებად შესაძლებელია. დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ცოდნა მობილობასა და ორიენტაციაზე, ასევე თეთრ ხელჯობზე საკმაოდ მწირია.

სკოლის მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილნი შესაბამისი ზომისა თუ მოდიფიკაციის თეთრი ხელჯობებით და სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ:

- შეიმუშაოს და დანერგოს უსინათლო მოსწავლეთა ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკების ერთიანი სტანდარტი. რანჟირების თითოეული ეტაპისათვის, უზრუნველყოს სპეციფიურად მათთვის ჩასატარებელი ფსიქოლოგიური სამუშაოების ფარგლების გაწერა
- უზრუნველყოს სკოლის დამხმარე სპეციალისტებისთვის პროფესიული ზრდის და საჭირო უნარ-ჩვევების განმავითარებელი ტრენინგები.

თბილისის N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ:

- მოსწავლეთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ღონისძიების ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებისთვის უზრუნველყოს საჭირო სპეციალისტების, მათ შორის, ოკუპაციური თერაპევტის, მობილობის ტრენერის, ფსიქოლოგის და სხვ. საჭირო რაოდენობით დასაქმება
- მოსწავლეთა რეაბილიტაცია/აბილიტაციაზე პასუხისმგებელ სპეციალისტებს დაავალოს განხორციელებული სამუშაოს ჩანაწერების წარმოება, სადაც ასახული იქნება სამოქმედო გეგმა და მიღწეული შედეგები.

7. რთული ქცევის მართვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, შშმ ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესში სრული და ეფექტიანი ჩართულობისთვის, საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ის ინდივიდუალური მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც მას დაეხმარება აკადემიური ცოდნის მიღებაში. ასეთი მხარდაჭერის მექანიზმად უნდა მოვიაზროთ რთული ქცევის მართვის შესაძლებლობა სკოლაში, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით ან პროგრამის სახით. ამგვარი შესაძლებლობის არქონა ხშირად ბავშვებს არ აძლევს საშუალებას ჩაერთონ სასწავლო-აკადემიურ პროცესში.

N202 საჯარო სკოლის ფსიქოლოგის განცხადებით, იგი აქტიურად მუშაობს გამომწვევი და რთული ქცევის მართვაზე მოსწავლეებთან, თუმცა, მისი მუშაობა არ ეყრდნობა ქცევის მართვის რაიმე დადგენილ სტანდარტს. სკოლაში არ არის ერთიანი ქცევის მართვის სახელმძღვანელო წესები. როგორც კონკრეტული შემთხვევების შესწავლისას აღმოჩნდა, ფსიქოლოგის მიერ ჩატარებული ქცევის მართვასთან დაკავშირებულ სამუშაოზე ინფორმირებული არ არიან მასწავლებლები, შესაბამისად, ვერ ხდება მიღწეული შედეგების განმტკიცება. მასწავლებლების მხრიდან კი მოსწავლის ქცევის მართვის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა მოსწავლის „ძიებთან“ გაყვანაა, რა დროსაც იგი სრულად წყდება სასწავლო პროცესს.

მონიტორინგისას გაირკვა, რომ სკოლას არ ჰყავს იდენტიფიცირებული კონკრეტულად რომელ ბავშვებს ესაჭიროებათ ქცევითი პრობლემების კორექცია. შესაბამისად, არ არსებობს მათთვის შემუშავებული რაიმე ტიპის ინდივიდუალური გეგმა ამ პრობლემის მენეჯმენტისთვის. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა ქცევის მართვის პრობლემის გამო მონიტორინგამდე რამდენიმე კვირით ადრე სკოლაში ერთ-ერთი მოსწავლის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა, თუმცა ქცევის მართვის პრობლემა ამ შემთხვევის შემდეგაც არ აღმოფხვრილა.

საქმე N3

2018 წლის 17 აპრილს N202 საჯარო სკოლის მე-8 კლასის ერთ-ერთი მოსწავლე გადმოვარდა სკოლის მე-2 სართულზე არსებული დასასვენებელი ოთახის ფანჯრიდან, იგი დაშავდა და ჰოსპიტალური მკურნალობა დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ ბავშვის რთული ქცევის შესახებ მის გადმოვარდნამდე ინფორმირებული იყო სკოლის ადმინისტრაცია (ადმინისტრაციის გადმოცემით, ბავშვს აინტერესებდა, როგორი იყო ფრენა), თუმცა, ქცევის მართვის პროტოკოლის არქონის გამო, მათ ვერ შეიმუშავეს ქცევის პრევენციის ეფექტური მეთოდი. ამის ნაცვლად, ხორციელდება ბავშვზე უწყვეტი ვიზუალური და ფიზიკური კონტროლი. ამგვარი კონტროლი, არაეფექტურია და არ არის სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული, შესაბამისად, იგი რთული ქცევის პრევენციის კუთხით არ აღმოჩნდა საკმარისი უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაასკვნა, რომ N202 საჯარო სკოლაში, მიუხედავად მოსწავლეთა მრავლობითი დარღვევების არსებობისა, არ მოქმედებს მათი ქცევის მართვის ერთიანი და შეთანხმებული სისტემა.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ

- მხარი დაუჭიროს სკოლებს ერთიანი, სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული რთული ქცევის მართვის პროტოკოლის და შესაბამისი სერვისების დანერგვასა და განვითარებაში.

სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ

- უზრუნველყოს სკოლის პერსონალისა და მასწავლებლებისთვის რთული ქცევის მართვის სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მეთოდების განცობა, შემთხვევების ზუსტი და დროული დოკუმენტირება და მათ საპასუხოდ კოორდინირებულად მოქმედება.

8. კვება

N202 საჯარო სკოლაში მონიტორინგის შედეგად განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა მოსწავლეთა ადეკვატური საკვებით უზრუნველყოფა. ინტერვიუების დროს ბავშვები აცხადებდნენ, რომ საკვების ულუფა საკმარისი არ არის. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას პანსიონის მომსახურებით მოსარგებლე ბავშვებისთვის, ისინი უმეტესად სრულად ვერ ნაყრდებიან და ისე უწევთ დაძინება. ხოლო თუ მოსწავლე არ მიირთმევს კონკრეტული დღის მენიუთი გათვალისწინებულ რომელიმე საკვებს, ის შესაძლოა მშვიერი დარჩეს ან მხოლოდ პური და ჩაი მიიღოს გამოტოვებული კვების ნაცვლად. კვების დროს ბავშვების ინდივიდუალური სურვილების გათვალისწინება არ ხდება.

კვებასთან დაკავშირებულ პრობლემას არც სკოლის ადმინისტრაცია და მზარეული უარყოფენ. მათი განმარტებით, არსებული მენიუთი გათვალისწინებული ულუფა ძალიან მწირია, ამიტომ ხშირად ბავშვების გამოსაკვებად მენიუთი დადგენილი დოზირების დარღვევა უწევთ. ასეთ შემთხვევებში, თავადაც უხდებათ სახლიდან დამატებითი შაქრის, ფქვილის და სხვა ინგრედიენტების მოტანა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი ვიზიტის დროს ადგილზე აკვირდებოდა კვების პროცესსა და საკვების ულუფას, ასევე ადმინისტრაციისგან გამოითხოვა კვების მენიუ და სხვა რელევანტური დოკუმენტაცია, რომლის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის N202 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კვების მენიუ შედგენილია 2016 წლის სექტემბერში სკოლის დირექტორსა და ფიზიკურ პირს გ.დ.-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 14 დღიანი მენიუ განაცხადების შედგენისა და დაანგარიშების მომსახურების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, ხოლო მის ღირებულებად განსაზღვრულია 350 ლარი.

სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია მომსახურების მიმწოდებლის გ.დ.-ს კვალიფიკაციის ან მისი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა სიტყვიერად განმარტა, რომ დასახელებულ პირთან ხელშეკრულების

გაფორმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მითითებით განხორციელდა და მიუხედავად იმისა, რომ არ ეთანხმებიან გ.დ.-ს მიერ შედგენილ მენიუს, მისი შეცვლისთვის გზები ვერ მოინახა.

მენიუების გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ის არ არის მრავალფეროვანი და დიფერენცირებული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პირველი და მეორემეტე კლასელი მოსწავლეებისთვის მსგავსი, მცირე ულუფაა გათვალისწინებული კვების ყველა ეტაპზე. მაგალითისთვის, საუზმეზე ბავშვს შეუძლია მიირთვას 250 გრ. ჰერკულესის ფაფა, ჩაი და 40 გრ. პური, შემდეგ კვებაზე 70 გრ. ხაჭოს ნამცხვარი და 200 გრ. რძე, სადილზე კი - 80 გრ. ბოსტნეულის სალათი, 400 გრ. ხორცის წვნიანი და 150 გრ. მაკარონი.

პრობლემატურია სკოლის სამზარეულოსა და სასადილოში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ფანჯრებზე არ არის დამონტაჟებული მწერებისგან დამცავი ბადეები. ცხელი საკვები მზადდება ელექტრო ქურაზე, ვინაიდან კვების ბლოკი არ მარაგდება ბუნებრივი აირით, ელექტრო ენერჯის გათიშვის შემთხვევაში, ცხელ საკვებს ვერ ამზადებენ. ყველა ტიპის საკვების დამუშავება/მომზადება ხდება ამისთვის გამოყოფილ ერთ ოთახში, სადაც შეინიშნება საკვების მოსამზადებელი ინვენტარის სიმწირე. სკოლას არც უსინათლო/მცირემხედველი მოსწავლეებისთვის ადაპტირებული ჭურჭლის მარაგი არ გააჩნია.

საკვების შესანახ საწყობში არ არის კონდიციონერი და მწერებისგან დამცავი ბადეები, ასევე, ჰიგიენის დაცვის პრობლემას ქმნის საწყობის ჭერზე გამავალი კანალიზაციის მილი. სამზარეულოს და სასადილოს ოთახებში კედლები დაზიანებულია ნესტისგან და მთლიანობაში, ინფრასტრუქტურა საჭიროებს განახლებას.

გამოწვევად რჩება უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთათვის დამოუკიდებლად კვების უნარების განვითარებაზე სათანადო მუშაობა და პასუხისმგებელი პერსონალის მიერ კვების პროცესში ადეკვატური დახმარება.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ:

- უზრუნველყონ N202 საჯარო სკოლის მოსწავლეთა კვება საკმარისი რაოდენობის ხარისხიანი, ჯანსაღი საკვებით, ინდივიდუალური მოთხოვნებისა და ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისი კალორიის გათვალისწინებით
- უზრუნველყონ N202 საჯარო სკოლის კვების ბლოკის ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება უსინათლო/მცირემხედველ პირთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით

- გააძლიერონ უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთათვის დამოუკიდებლად კვების უნარების განვითარებაზე მუშაობა და კვების პროცესში სათანადო დახმარების გაწევა.

9. მისაწვდომობა და უსაფრთხოება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობისათვის გაეროს კონვენცია⁴⁵ სახელმწიფოებს ავალდებულებს ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ყველა საჭირო ზომის მიღებას, მათ შორის, სკოლებში.

სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ N202 საჯარო სკოლაში მინიმალურად და უხარისხოდ არის გამოყენებული მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანთათვის გარემოს მისაწვდომობის კონცეფციები (მაგ: ტაქტილური მანიშნებლები, მათ შორის, ხელით აღსაქმელი ნიშნები, ბილიკი, კონტრასტული ფერები თუ სასიგნალო ხმოვანი მოწყობილობები, თანამედროვე ტექნოლოგიებზე (Wi-Fi, Bluetooth, სხვ.) დაფუძნებული მისაწვდომობის გასაუმჯობესებელი საშუალებები). შენობის ნაწილობრივი გარემონტების დროს არ იყო გათვალისწინებული უნივერსალური დიზაინის პრინციპები, გარემო არ შეესაბამება ფართო სპექტრის ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებს.

სკოლასთან მისასვლელი გზები არ არის ადაპტირებული მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეების და პერსონალის საჭიროებებისთვის, უგულებელყოფილია გონივრული მისადაგების პრინციპები და საგზაო უსაფრთხოების ნორმები.⁴⁶

სკოლის შენობა ავარიულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ადმინისტრაციის განმარტებით, შენობაში სრულყოფილი სარემონტო სამუშაოების ჩატარება ვერ ხერხდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის ქონის გამო. მოსაწესრიგებელია სკოლის ეზო და შიდა ინფრასტრუქტურა, კერძოდ:

- სკოლის შენობის შესასვლელში არ არის დამონტაჟებული პანდუსი და მოაჯირი. შენობა არ არის აღჭურვილი ლიფტით
- სველ წერტილებში უმეტესად დამონტაჟებულია ე.წ. აზიური უნიტაზები და არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის

⁴⁵ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია, მუხლი 9.

⁴⁶ კერძოდ, სკოლის მიმდებარედ, ქეთევან წამებულის გამზირზე არსებული ქვეითთა გადასასვლელის საგზაო მონიშვნა არ არის მკვეთრი ფერის, არ მუშაობს შუქნიშნის ხმოვანი სიგნალი და საგზაო ნიშანი - „უსინათლო ქვეითები“ დაფარულია ხის ტოტებით. ასევე, სკოლის ღობე ერთ ადგილზე დაზიანებულია და შემოსაზღვრულია ლითონის კონსტრუქციით, რასაც მთლიანად აქვს დაკავებული ქვეითთა სავალი ნაწილი. სკოლის ჭიშკართან დგას ნაგვის ბუნკერები და პარკინგის ადგილის დასაკავებელი ნიშნები, მათ შორის, ერთი დგას უშუალოდ სკოლის შესასვლელ კართან.

- დერეფნებში პარკეტის იატაკი დაზიანებულია, რაც უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის საფრთხის შემცველია
- შენობაში განათება არასაკმარისია და ძველი ელექტროგაყვანილობის გამო, ხშირად ითიშება ელექტროენერგია
- ფაქტობრივად ყველა საკლასო ოთახი სარემონტოა, დაზიანებულია კარები, იატაკი, კედლები და ჭერი
- განახლებას საჭიროებს სპორტული დარბაზი და მასში არსებული ზოგიერთი ტრენაჟორი
- სააქტო დარბაზში კულისებიდან შესასვლელი და სცენიდან ჩამოსასვლელი კიბე ვიწროა, საფეხურები მაღალი და მოაჯირი - მორყეული. ამალღებულ სცენაზე არ არის რაიმე მანიშნებელი ან დამცავი ბარიერი, რაც ქმნის სცენიდან ჩამოვარდნის რისკს
- რეაბილიტაციას საჭიროებს პანსიონის სამინებელი ოთახები და ინვენტარი. სკოლას არ აქვს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მარაგი, ხოლო სამინებლებში თეთრეულის გამოცვლა ხდება არასაკმარისი სიხშირით, 2 კვირაში ერთხელ
- სკოლაში არის ბიბლიოთეკა, თუმცა მოსწავლეებისთვის არ არის გამოყოფილი სამეცადინო სივრცე.
- სახელოვნებო სწავლების ოთახი სარემონტოა და არ არის დამონტაჟებული ონკანი ხელების დასაბანად. ამასთან, შეიმჩნევა სახელოვნებო სწავლებისთვის განკუთვნილი მასალების სიმწირე
- ეზოში არსებულ დამხმარე ნაგებობებში და ძირითადი შენობის უკანა პერიმეტრზე დაყრილია ძველი სამეურნეო ნივთები, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები
- შენობის საავარიო გასასვლელ კართან მორღვეულია რკინის მოაჯირი, რაც ქმნის ჩავარდნის და სხეულის დაზიანების საფრთხეს
- მობილობისა და ორიენტაციის განსავითარებელ სკვერში დაზიანებულია სავარჯიშო ბილიკების მონაკვეთი და სასმელი წყლის შადრევანი
- ამორტიზებულია სკოლის სტადიონი, დაზიანებულია მისი ხელოვნური საფარი, ბადეები და ცხაურები.

მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხითაც. სკოლაში დამონტაჟებული 4 სამეთვალყურეო ვიდეო-კამერიდან მხოლოდ ერთი იწერს. მანდატურების განმარტებით, სკოლის კონტიგენტის და შენობის ამორტიზებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, მათი რესურსები არასაკმარისია სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. მანდატურები აცხადებენ, სკოლაში მოსწავლეები ხშირად ეცემიან. ასევე, სათანადოდ არ კონტროლდება სკოლის ეზოს, რის გამოც ტერიტორიაზე უცხო პირები უპრობლემოდ შემოდიან და მოძრაობენ.

სკოლის შენობის მეორე სართულზე არსებულ მოსწავლეთა მოსასვენებელ ოთახში (N45) ფანჯარა იატაკიდან 70 სმ სიმაღლეზე მდებარეობს და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მასზე არ არის დამონტაჟებული გისოსი ან რაიმე სხვა ბარიერი, ფანჯრიდან ბავშვის

გადავარდნის პრევენცია ვერ ხერხდება. სწორედ ასეთ ფაქტს⁴⁷ ჰქონდა ადგილი 2018 წლის 17 აპრილს. საქმეს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველო სწავლობს.

რეკომენდაციები:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ

- უზრუნველყოს სკოლის შენობაში სრულყოფილი სარემონტო და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, გონივრული მისადაგების პრინციპების და მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანთათვის გარემოს მისაწვდომობის კონცეფციების გათვალისწინებით

სსიპ თბილისის N202 საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ:

- აქტიურად ითანამშრომლოს შესაბამის უწყებებთან სკოლასთან მისასვლელი გზების მოწესრიგების, მათ შორის ქვეითთა ტროტუარის, შუქნიშნის გამართულად მუშაობის და გზაზე არსებული ბარიერების აღმოსაფხვრელად
- უზრუნველყოს სკოლის ეზოს და ტერიტორიის დასუფთავება და სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნება, დამხმარე შენობების რეაბილიტაცია და მიზნობრივად გამოყენება, მობილობა და ორიენტაციის სკვერის მოწესრიგება
- გამოიყოს შესაბამისი ფართი შემდეგი აქტივობებისთვის: მობილობა და ორიენტაციის სწავლება და სახელოვნებო სწავლება

⁴⁷ 2018 წლის 17 აპრილს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, დღის 3 საათზე, სკოლა-პანსიონის მეორე სართულზე მდებარე N45 ოთახის ფანჯრიდან 13 წლის აღსაზრდელი გადმოვარდა. ბავშვის გადარჩენა მანდატურმა შეძლო, რომელიც ამ ფაქტს შემთხვევით შეესწრო. არასრულწლოვანი მრავლობითი მოტეხილობებით ახლომდებარე კლინიკაში გადაიყვანეს. ოთახში ინციდენტის დროს დაწესებულების აღმზრდელები უნდა ყოფილიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე აღმზრდელი ამ დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა, შემთხვევის ადგილზე არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა. სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის მიზნით განხორციელებული რეაგირების შედეგად ცნობილი გახდა, რომ შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებაში 2018 წლის 17 აპრილს დაიწყო გამოძიება თბილისის N202-ე საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლის, ლ.მ.-ს მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდნის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით. სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები. ამ ეტაპზე საქმეზე დაზარალებულად არავინ არ არის ცნობილი და სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ არ დაწყებულია. სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს საქმის შესწავლას.

- მხედველობის პრობლემის მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით, ყველა ზომა მიიღოს სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.